პროგრამის სახელწოდება: სათბურის მოწყობა, მართვა და კულტურების წარმოება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 11 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 255 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური - 8

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამა „სათბურის მოწყობა, მართვა და კულტურების წარმოება“ მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შეისწავლიან: სათბურის დანიშნულებას, სახეებს, მოწყობის პრინციპებს და მართვას ოპტიმალური კლიმატური რეჟიმების დაცვით; დახურულ გრუნტში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის წესებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმების დაცვით; სხვადასხვა კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოებს აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით; მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების ამოცნობას და ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები, შეძენილი ცოდნა-უნარებით, შეძლებენ დასაქმებას სხვადასხვა ტიპის სასათბურე მეურნეობებში, ასევე თვითდასაქმებას - საკუთარი სასათბურე მეურნეობის შექმნით.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულისათვის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები:

1. სასათბურე მეურნეობის დანიშნულების, პროფესიული მოვალეობების, შრომის უსაფრთხოების წესებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების აღწერა
2. დახურული გრუნტის სახეების და ოპტიმალური კლიმატური რეჟიმების აღწერა
3. დახურული გრუნტის მოწყობა და მართვა ოპტიმალური კლიმატური რეჟიმების დაცვით
4. სათბურში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და ორგანიზება
5. სუბსტრატების მომზადება. დახურულ გრუნტში სარწყავი სისტემების გამოყენება
6. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანა დახურულ გრუნტში
7. მცენარეთა ძირითადი მავნებლებისა და დაავადებების ამოცნობა და ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სათბურის მოწყობა, მართვა და კულტურების წარმოება“ სწავლა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს თეორიული ცოდნა და განივითაროს პრაქტიკული უნარი აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის დასრულების შემდგომ პირს შეუძლია: დახურული გრუნტის მოწყობა; ოპტიმალური კლიმატური რეჟიმის მართვა; სუბსტრატის მომზადება; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ჩითილების წარმოება, მყნობა, ჩითილის გადარგვა და კულტურების მოვლა დახურულ გრუნტში; მცენარეთა ძირითად მავნებლებისა და დაავადებების ამოცნობა და ინტეგრირებული დაცვა.

პროგრამის ხანგრძლივობაა 11 კვირა, 255 საკონტაქტო საათის მოცულობით, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა I – X კვირა 25 სთ, XIკვირა - 5 სთ განმსაზღვრელი შეფასება.

სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, მაღალკვალიფიციური თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების მქონე პირების მიერ, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

თეორიული სწავლება ჩატარდება კოლეჯის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო). პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყენებული იქნება კოლეჯის თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობაში (ფართობი - 240 მ2), რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო სისტემებით (C გარემო).

სწავლებისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასებისას გამოყენებული იქნება როგორც განმავითარებელი შეფასება-ყოველი სასწავლო დღის შემდეგ, ასევე განმსაზღვრელი შეფასება-პროგრამის ბოლოს, შეფასების მეთოდით - პრაქტიკული დავალება - დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიის დამადასტურებელ სერთიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.